მეხილეობა (კურკოვანი კულტურები)

1. **სახელწოდება:**

   მეხილეობა (კურკოვანი კულტურები)

2. **სარეგისტრაციო ნომერი:**08108-ს

3. **მიზანი :**

საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის მიზანიაპირისათვის„მეხილეობა (კურკოვანი კულტურები)“ პროფესიის შესაბამისი თეორიული ცოდნის მიცემა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

4. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები**

პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია თესლოვანო და კურკოვანი სასოფლო-სამეურნეოკულტურების მოყვანა-წარმოებასთან, კერძოდ:

- სამრეწველო ბაღებსა და სათბურებში;
- სპეციალიზებულ სანერგეებში;
- სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრების სადემონსტრაციო-ექსპერიმენტულ ნაკვეთებში;
- ნერგებისა და ჩითილებისსარეალიზაციო პუნქტებში;
- ხილის შემგროვებელ პუნქტებსა და საკონსოლიდაციო ცენტრებში;
- საბაღეტიპისპარკებსადასარეკრეაციოზონებში;
- სააგარაკოდასასახლკარენაკვეთებში;
- წვრილ, საშუალო და მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში;

5. **პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები**

მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეხილეობაში (კურკოვანი კულტურები)

6. **დაშვების წინაპირობა/წინაპირობები**

I. სრული ზოგადი განათლება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

7. **სტრუქტურა**

„მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“

მეხილეობა (კურკოვანი კულტურები) წარმოადგენს მეოთხე საფეხურის პროგრამას კონცენტრაციით - არჩევითი მიმართულებით „კურკოვანი კულტურები“ კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 60 კრედიტი, რომელთაგან 5 ზოგადი მოდული- 15 ჯამური კრედიტის რაოდენობით და 11 სავალდებულო ძირითადი მოდული - 39 ჯამური კრედიტის ოდენობით, ხოლო კონცენტრაციისთვის „ კურკოვანი კულტურები“ განკუთვნილია 6 კრედიტი. არაქართულ ენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 90 კრედიტი, რომელთაგან ზოგადი მოდულების კრედიტებს (15 კრედიტი) ემატება ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდული (30 კრედიტი)

პროგრამა განსაზღვრავს ქართულენოვანი სტუდენტებისათვის ჯამურად 60 კრედიტს, 11 თვე; არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ჯამურად 90 კრედიტს 16 თვე

სავალდებულო ზოგადი მოდულები

1.ინტერპერსონალურიკომუნიკაცია-3კრ
2.რაოდენობრივიწიგნიერება-2კრ
3.ინფორმაციულიწიგნიერება 1 - 3კრ
4.მეწარმეობა 2-2კრ
5.უცხოურიენა-5კრ

ძირითადი სავალდებულო მოდულები

მოდული 1 გაცნობითი პრაქტიკა - მეხილესათვის -2კრ
მოდული 2 პრაქტიკული პროექტი - მეხილესათვის -5კრ

მოდული 3მეხილეობის სამეურნეო-ბიოლოგიური საფუძვლები -3კრ
მოდული 4ხილკენკროვანი კულტურების ბაღის გაშენება-3კრ
მოდული 5ხილკენკროვანი კულტურების ბაღის მოვლა-5კრ
მოდული 6ხილკენკროვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება-6კრ
მოდული 7ხილკენკროვანი კულტურების სხვლა-ფორმირება-3 კრ

მოდული 8აგრომექანიზაცია -4კრ

მოდული 9ხილ-კენკრის მოსავლის აღების ორგანიზება -3კრ
მოდული 10ხილ-კენკრის დახარისხებადა შენახვა-2კრ

მოდული 11უვნებელი და ხარისხიანი ხილ-კენკრის წარმოების ორგანიზაცია -3კრ

სპეციალური მოდულები- კურკოვანი კულტურები

მოდული 12კურკოვანი კულტურების ზოგადი დახასიათება-3კრ

მოდული 13კურკოვანი კულტურების წარმოება -3კრ

8. სწავლის შედეგები პროფესიული სპეციალიზაციის/სპეციალიზაციების გათვალისწინებით

პროგრამის გავლის შემდეგ პირს შეუძლია:

- ხილკენკროვანი კულტურების მორფოლოგიური და ანატომიური აგებულების მიხედვით დახასიათება;
- ხეხილკენკროვანი კულტურების ჯგუფებად დაყოფა;
- ხილკენკროვანი კულტურების ძირითადი ჯიშების გამოცნობა და ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებების დახასიათება;
- მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების დროს სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვა;
- ბაღის გაშენების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- ბაღის გასაშენებლად ადგილის შერჩევა;
- საბაღე ფართობის ტერიტორიული მოწყობაში მონაწილეობა;
- ბაღის გასაშენებლად სარგავი მასალის შერჩევა-მომზადება და დარგვა;
- ხილკენკროვანი ბაღის მოვლის თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- უსაფრთხოდ მუშაობის უზრუნველყოფა და გარემოს დაცვა;
- ბაღში ნიადაგის დამუშავება და განოყიერება;
- მორწყვისა და ირიგაციის სათანადოდ გამოყენება;
- ბაღში მცენარეთა დაცვა;
- ბაღის გაშენების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- ბაღში გაცდენილი ადგილის გამორგვა-შევსება;
- კრიტიკული სიტუაციების მართვა;
- დახურულ ფესვთა სისტემით ნერგის წარმოება;
- ხეხილის სხვლა- ფორმირების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- ახალგაზრდა ხეხილის ფორმირება;
- ხეხილის გასხვლა;
- ნიადაგის დასამუშავებელი სას.სამეურნეო მანქანა-დანადგარების იდენტიფიკაცია;
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით ნიადაგის დამუშავების მონიტორინგი;
- მცენარეთა შესაწამლი და სასუქების შემტანი აგრეგატების შერჩევა;

- მცენარეთა შესაწამლი , მოსავლის ასაღები და დასახარისხებელი, სასუქების შემტანი აგრეგატების გამოყენება;
- მოსავლის აღების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- მოსავლის ასაღებად სათანადო ტექნიკა-ინვენტარის მომზადება;
- ხილის კრეფა;
- ხილის დახარისხება სათანადო პარამეტრების შესაბამისად;
- საცავების მომზადებას მოსავლის დროებით შესანახად შენახვის ოპტიმალური რეჟიმების დაცვით;
- კურკოვანი კულტურების (ატამი, გატყემალიბალი, გარგარი, ქლიავიალუჩა...) იდენტიფიკაცია;
- კურკოვანი კულტურების ბოტანიკურ-მორფოლოგიური დახასიათება;
- კურკოვანი კულტურების ბიოლოგიური თავისებურებები;
- ინტენსიური ტიპის სამრეწველო სადემონტრაციო ნაკვეთზე კურკოვანი კულტურების იდენტიფიკაცია;
- კურკოვანი კულტურების (ატამი, ტყემალიბალი, გარგარი, ქლიავიალუჩა...) წარმოების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- კურკოვანი კულტრების ბაღის გაშენება;
- კურკოვანი კულტურების ბაღის მოვლა;
- კურკოვანი კულტურების ბაღის სხვლა-ფორმირება;
- კურკოვანი კულტურების მოსავლის აღება, ტრანსპორტირება, შენახვა;
- სურსათის უვნებლობის წესების აღწერა ხარისხიანი პროდუქციის წარმოების მიზნით;
- მოცემული ტექნოლოგიური რუკის მიხედვით, კალენდარული ვადებისა და მცენარეთა განვითარების ცალკეული ფენოფაზების შესაბამისად გათვალისწინებული სამუშაოების იდენტიფიცირება;
- უვნებელი და ხარისხიანი ხილკენკროვანი კულტურების წარმოების დროს და შესაბამისი დოკუმენტაციის შევსება.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ საზოგადოებრივმა კოლეჯმა "აისი" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ზოგად და პროფესიულ სავალდებულო მოდულებს. სავალდებულო პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების 50% მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება მიღწეული სწავლის შედეგის დადასტურებისას

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული)სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვსპროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულია 50% ან მეტი, სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია ენიჭება მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.